Government of Ras Al Khaimah
RAK Investment Authority Georgia

N 100316/1

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ქ. თბილისი 10 მარტი 2016

ორიათას თექვსმეტი წლის 10 მარტს, **შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“**-მ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204544154) **(„მარწმუნებელი“)**, რომელიც წარმოდგენილია დირექტორის **ბატონი გიორგი გეგეჭკორის** (პირადი#01026012848) მიერ,

ბატონ ანდრეას ჰაიდინგსფელდერს (დაბადებული 17,08,1968წ. გერმანიის მოქალაქეს, პასპორტი # C4Y08227X, მოქმედების ვადა 07.05.2025 მდე; საქართველოში დროებითი ბინადრობის მოწმობის # 15TR10691, პირადი # 01894001184) **(„რწმუნებული“)** მიანიჭა უფლებამოსილება განახორციელოს მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“-ს **(„სასტუმრო“)** მართვასთან, მარკეტინგთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა საჭირო კანონიერი მოქმედებები, მათ შორის:

- წარმოადგინოს მარწმუნებელი სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, მუნიციპალიტეტებში, საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებში. წარადგინოს წერილები, განცხადებები და დოკუმენტაცია საქართველოსა თუ უცხოეთის ტერიტორიაზე მოქმედ სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, მუნიციპალიტეტებში, საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებში;
- აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს ყველა სახის ხელშეკრულებები, მათ შორის საიჯარო, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა - გაყიდვის საქართველოსა თუ უცხოეთის სახელმწიფო ორგანოებთან თუ დაწესებულებებთან, საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, ფიზიკურ პირებთან გარდა ხელშეკრულებებისა, რომელიც დაკავშირებულია:

  1. მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გასხვისებასთან;
  2. მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისებასთან თუკი გარიგების ღირებულება აღემატება 70 000 ლარს მიუხედავად იმისა გარიგება შედგება ერთი ტრანზაქციისგან თუ რამოდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციისგან;
  3. მარწმუნებლის სახელით სასესხო და სხვა ვალდებულებების აღებასთან;

34 Chavchavadze Ave, 0179, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 2485 485 Fax: +995 32 2485 487 Website: www.rakinvestmentauthority.ge
E-mail: info@rakia.ge

4. მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული ქონების ვალდებულებებით დატვირთვასთან (რაც გულისხმობს და არ შემოიფარგლება გირაოს, იპოთეკას და სხვა სახის უზრუნველყოფის საშუალებას).

- წარმოადგინოს მარწმუნებელი სახელმწიფო თუ კერძო ბანკებში, გახსნას ნებისმიერ ბანკში ინდივიდუალური სადეპოზიტო სეიფები და ხელი მოაწეროს ინდივიდუალური სადეპოზიტო სეიფის მომსახურების კონტრაქტს. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება სადეპოზიტო სეიფების შეუზღუდავად სარგებლობისათვის (მათ შორის სეიფების გასაღების გადმობარება, ასევე სადეპოზიტო სეიფში ნებისმიერი ნივთის შეუზღუდავად განთავსება და გამოტანა);
- დადოს და შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულებები სასტუმროს თანამშრომლებთან და მოახდინოს მათთან შრომითი ურთიერთობების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- განახორციელოს ტვირთების განსაბაჟებლად საჭირო ყველა მოქმედება;
- გასცეს მინდობილობა სასტუმროს მძღოლებზე, სტუმრების ტრანსპორტირებისათვის სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ განკარგულებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებების საზღვარგარეთ გაყვანა - შემოყვანაზე;
- მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონების, კერძოდ 01.17.01.125.001 საკადასტრო კოდით აღნიშნულ ტერიტორიაზე და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობების და მათ ფასადზე სარეკონსტრუქციო, სამონტაჟო/სადემონტაჟო სამუშაოების, ყველა სამშენებლო სამუშაოების, დროებითი ღობის მოწყობის და სარეკლამო ბანერის განთავსების თაობაზე განცხადების შეტანა და ამ საქმეების წარმოების უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

რწმუნებული უფლებამოსილია ამ მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს.
მინდობილობა ძალაშია 1 (ერთი) წლის ვადით 2016 წლის 10 მარტიდან 2017 წლის 10 მარტამდე.

საკუთრების მიმნდობი
შპს „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია“

დირექტორი

გიორგი გეგეჭკორი

34 Chavchavadze Ave, 0179, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 2485 485 Fax: +995 32 2485 487 Website: www.rakinvestmentauthority.ge
E-mail: info@rakia.ge